ხელშეკრულება № 15

მომსახურების გაწევის შესახებ

სიღნაღის მუნიციპალიტეტი 8 მაისი 2023 წელი

ერთის მხრივ, სსიპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის" საჯარო სკოლა ს/კ 240412781 (**შემდგომში- შემსყიდველი)** წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ მარინა გოჩიტაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ უსაფრთხოება", ს/კ 445582343 **(შემდგომში- მიმწოდებელი)** წარმოდგენილი მისი დირექტორის გენადი მახარაძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და მიზანი

1.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შემსრულებელი ახდენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას რომელიც აღწერილია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში №1-ში (შემდგომში სამუშაოდ წოდებული) ხოლო, დამკვეთი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შემსრულებელს უხდის შეთანხმებულ საზღაურს.
1.2. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოს ზუსტი ჩამონათვალი:

სახანძრო სისტემების პროექტირებას საქართველოში მოქმედი კანონისა და სტანდარტების მიხედვით და ასევე საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ აღნიშნული პროექტის შემოწმებით, CPV: (71242000)- პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა. შემსრულებელი ვალდებლია დამკვეთის დავალებით შეასრულოს შესაბამისი დავალება.

1.3. დანართი №1 შეადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.სამუშაოს შესრულების ვადები

2.1. მიმწოდებელი მომსახურებას უზრუნველყოფს 30(ოცდაათი) დღის ვადაში, შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთის დავალებით დაიწყოს შესაბამისი სამუშაოების განხორცილება, შეთანხმების საფუძველზე.

3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. მომსახურების მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.
3.2 დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურეობის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით. რომელიც შეადგენს 3400 (სამი ათას ოთხასი ლარი)ლარს.
3.3. შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება შესრულებული სამუშაოს მიხედვით.
3.4. ანგარიშსწორება მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3.5. ღირებულება ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ-ს).

4. მხარეთა მოვალეობები და პასუხისმგებლობა

4.1. მხარეებს უფლება აქვთ მოსთხოვონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობათა სრული და ჯეროვანი შესრულება.

5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან ნაკისრი ვალდებულებების პასუხისმგებლობისგან, სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისაგან დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

5.2. "დაუძლეველი ძალის„ ქვეშ იგულისხმება გარემობები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და საომარი მოქმედებები, სამთავრობო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღებასა და ცვლილებასთან, რომელიც აუარესებს წინამდებარე ხელშეკრულების სუბიქტების სამართლებრივ სტატუს და რეჟიმს.

5.3. თუ ნებისმიერმა ზემოთხსენებულმა გარემობებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ვადაზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება.

5.4. მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს 7 /შვიდი/ დღისა ამ გარემოებების დადგომიდან წერილობით ამცნობოს მეორე მხარეს.

5.5. შეუტყობინებლობა და / ან დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითითებული ფაქტები დადასტურებულ უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ, დადასტურება არ არის აუცილებელი,თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

5.6. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს. მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი. კომპრომისული შეთანხმების მიუღწევადობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. დავის გადაწყვეტა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყოველგვარი უთანხმოების წარმოქმნის შემთხვევაში, არსებული უთანხმოება შესაძლოა გადაწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7. დამატებითი დებულებანი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმეულია ქართულ ენაზე ერთი ეგზემპლარი ინახება "დამკვეთთან", ხოლო მეორე "შემსრულებელთან".

7.2. ნებისმიერი ცვლილებების და დამატებითი პირობების დასამატებლად მხარეები ვალდებულნი არიან ურთიერთ შეთანხმებითი ხელწერილი დოკუმენტი დაურთონ ამ ხელშეკრულება, რომელიც ჩაითვლება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალურობა იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით,რომელიც მათთვის გახდა წინამდებარე ხელშეკრულების დადების და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას

7.4. აღნიშნული პროექტის სისწორეს განახორციელებს საგანგებო სიტუაციების სამსახური.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია 30/12/2023წ-მდე. ხელშეკრულების ვადის გაგრძელება ხდება შეთანხმების საფუძველზე, თუ მხარეებს ერთმანეთის მიმართ არ გააჩნიათ არანაირი პრეტენზიები.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელომოწერები

შემსყიდველი:

სსიპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის" საჯარო სკოლა
ს/კ -240412781
მის: სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელ ბოდბე
ტელ: 577 64 08 08
mail: Bodbe1@mes.gov.ge
საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი:BAGAGE22
ა/ა GE60BG0000000259834600

დირექტორის მ/შ: მარინა გოჩიტაშვილი

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „უსაფრთხოება"
ს/კ -445582343
მის: ქ.ბათუმი, ჩაიკოვსკის ქუჩა N 60
ტელ: 555 11 10 11
mail: teonakavelashvili95@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBCE 22
GE46TB7881436080100010

დირექტორი: გენადი მახარაძე

_____
(ხელმოწერა)

ხელშეკრულების საგნის აღწერა

დანართი 1

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

CPV: (71242000)- პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა

№	**დასახელება**	**განზომილების ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**საერთო**
1.	სახანძრო სისტემების პროექტირებას საქართველოში მოქმედი კანონისა და სტანდარტების მიხედვით და ასევე საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ აღნიშნული პროექტის შემოწმებით	მომსახურება	1	3400	3400
	სულ				**3400**

სსიპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის" საჯარო სკოლა
სკოლის დირექტორის მ/შ: მარინა გოჩიტაშვილი

შ.პ.ს. „უსაფრთხოება"
დირექტორი : გენადი მახარაძე